


სიანობი

სტალინი, 1931 წ.
№ 12 30.10



მუშაკლასის გრძნობა

ნ. ნადარეიშვილის

კომარტონი

თბილისი, 1931 წ. 10 თბილისი, 1931 წ. 10 თბილისი, 1931 წ. 10

თესვის კამპანიის ისტორია



ბევრ გულუბრყვილოს ჰგონია, რომ თესვის კამპანია თითქოს ბოლშევიკების მიერ იყოს გამოგონილი და შემოღებული.

ამიტომ არის, რომ ზოგი მათგანი, რომლებსაც ბოლშევიკების არაფერი სწამთ, გაურბიან თესვის კამპანიის ჩატარებას.

ზედმეტი არ იქნება, რომ ასეთებს გავაცნოთ თესვის კამპანიის ისტორია.

რადგან ჩვენი ისტორია მომდინარეობს ქრისტეს ხანიდან, ამიტომ თესვის კამპანიის წარმოშობის საკითხსაც შევეხებით ქრისტეს დროიდან. მით უმეტეს, რომ ხელთ გვაქვს უტყუარი საბუთი იმისა, თუ როგორ უღებოდა ამ საკითხს თვით ქრისტე.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ქრისტე, როგორც მუდამ მერყევი და მარჯვენა-მარცხნივ გადახრილი, ყოველთვის ერთნაირად არ უღებოდა თესვის საკითხს და ხანდახან მეტისმეტ ოპორტუნისტობას იჩენდა და თვითმომდინარეობას ეყრდნობოდა.

წარსული

ნახ. ქოქიაშვილის.



ბებერი ტურა: — (შვილს) სიკვდილის წინ ერთი ვარია მაინც შემაჭამე!
— ეჰ, დედილო, სოფლის ახლოს მდებარე ტყეებში ბაღებზე აქციეს და სოფელში ვეღარ შევდივართ!

აი, მაგალითად, რას უქადაგებდა ეს თესვის მტერი ქულებს ერთ დროს:

„ნუ ჰზრუნავთ სულისა თქვენისათვის რა ჰსჯამოთ და რა ჰსვათ. ნურცა ხორცთა თქუენისათვის რით შეიმოხოთ. ანუ არა სული უფროს არს საზრდელისა და გუამი სამოსლისა. მიჰხედვით მფრინველთა ციხათა, რამეთუ არა ჰსთეს უენ, არცა ჰმკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამა თქუენი ზეცათა ჰზრდის მათ. არამე უფროს თქუენ უმჯობეს ხართა მფრინველთა. ანუ ვინმე თქუენგანი ჰზრუნავდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თვისსა წყრთა ერთ. და სამოსლისათვის რასა ჰზრუნავთ, განიცადენით შრომანი ველისანი, ვითარ იგი აღორძინდის, არა ჰშურებინ, არცა ჰსთავნ“...

(სახარება მათესი, თავი ვ)

მაგრამ ასეთმა ქადაგებამ რომ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი და შედეგად ქრისტემ მიიღო ის, რომ ორი პურით ხუთი ათასი კაცის გამოკვება მოუხდა, მხოლოდ მაშინ გამოიბერტყა ყურები და სულ სხვანაირი სიტყვებით მიჰპართა ხალხს.

სწორედ იქიდან იწყება თესვის კამპანიის შემოღება, როდესაც ქრისტე ეუბნება მოციქულებს შემდეგ იგავს:

„გამოვიდა მთესვარი თესვად. და თესვასა მას მისსა რომელიმე დაჰვარდა გზასა ზედა, და მოვიდეს მფრინველნი ციხანი, და შეჰსჭამეს იგი. და სხუა დაჰვარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწა ფრიად, და შეუხეულად აღმოსცენდა. და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა, მზე რა აღმოჰსდა დაჰსცხა, და რამეთუ ძირნი არა დაეზნეს განჰსმა. და სხუა იგი დაჰვარდა ეკალთა შორის, და აღმოჰსცენდეს ეკლიანი, და შეაშთუეს იგი. და რომელიმე დაჰვარდა ქუეყანასა კეთილსა, და მოჰსცემდა ნაყოფსა რომელიმე ასხა, რომელიმე სამეოცსა, რომელიმე ოცდაათსა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად ისმინენ“...

სახარება მათესი, თავი ივ)

ამ სიტყვებიდან ცხადათ სჩანს, რომ ქრისტე გადაჭრით ურჩევს მთესველს რიგში თესვას და არა ხელით უთავბოლოთ თესვის მოხვედრას. აგრეთვე ის დარიგებას აძლევს მთესველს, რომ მიწა ღრმად მოხნას, გასწმინდოს ველი ეკლნარისგან, მორწყოს და არ მოახრუტკიოს მზეს.

მიწის ასე კარგათ დამუშავების შედეგათ ის პირდება მთესველს ერთი ოცდაათიან ერთ ასამიდი მოსავლის მიღებას.

ცოტა ქვემოთ თუ კიდევ ჩავყვებით მის ქადაგებებს, იქ შეგვხვდებით რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა გასწმინდოს მთესველმა სათესლე მასალა ღვარძლისაგან და სხვა ასეთებს, მარა, ვგონებთ, ესეც კმარა. გავიმეორებთ მხოლოდ ქრისტეს შემდეგ სიტყვებს: „რომელსა ასხენ ყურნი სმენად ისმინენ“.

ჩვენ გირჩევთ მხოლოდ, — ისმინათ არა პირველი მისი ოპორტუნისტული ქადაგება, არამედ მეორე იგავი, — თესვის შეგნებულათ და დაკვრითი წესით ჩატარების შესახებ, — და აქ შეჩერდით. თორემ თუ მის აბდა-უბდა ქადაგებების მოსმენას შეუდგებით, — მორჩა თქვენი საქმე! ყანები სულ დაუთესავი დაგრჩებათ!..

„ობიექტური პირობები“

სოცალ ფუტურეთის საშეფო საზოგადოებას დაარსება ტფილისში სეფე სარგებლიანის „ინიციატივით“ ჩატ: ადა, რაც ფუტურეთელების საშეფო კრებაზე აღნიშნული იყო სეფეს მეზობლის კირილე კიტრადის მიერ, რომელმაც წინადადებაც კი „ბეიჭანა პრეზიდუიმში სეფესთვის ჩადლობის გამოცხადების შესახებ.“

— მადლობა ნაადრევი... ჯერ საქმე დაგვაახიეთ და შემდეგ მადლობას გეტყვიო! — გადალაპარაკეს ზოგიერთებმა ერთმანეთს.

სეფე მიხვდა, რომ შეიძლებოდა წინადადება „ჩაფლავებულიყო“. წამოდგა და რიხიანად დაიწყო:

— ახანაჯლო, მართალია ბევრა დრო დამეკარგა, რომ თქვენთვის ახალი მომეცა აქ და ეს დიდი საქმე დაგვეწყო, მაგრამ ჯერ-ჯერობათ მადლი ბის გამოჩადება ნაადრევი. სააუშაო წინ გვიდგეს თქვენი სპირობის ნაზრეთ, ი.ე. რას გააკეთებთ. — სთქა ჩან და ყველას თვალი გასაქლო.

— მართალია, მართალი! — გაისმა დამსწრეთა შორის.

ფუტურეთელების კრება მოწვეული იყო სარგებლიანის ბინაზე, რომლის შესახებ გაზეთებშიც კი იყო ცნობა. კრებას თვითონ სეფე თავმჯდომარეობდა. საერთო კრებამ საზოგადოების თავმჯდომარეთ სარგებლიანივე აირჩია, რომელსაც ტფილისში ერთერთ სავაჭრო დაწესებულებაში საკმაო პასუხისმგებელი თანამდებობა ეკავა.


პირველ ხანებში საზოგადოების მუშაობა „ძლიერი ტემპით“ მიდიოდა, რომელიც იმაში გამოიხატებოდა მხოლოდ, რომ სარგებლიანის ძეს, როგორც საზოგადოების თავმჯდომარეს და კიტრადის, როგორც მდივანს, სპირ-სპირად უხდებოდათ ტფილისიდან ფუტურეთში ჩასვლა... როცა სხენებულ საზოგადოება დაარსდა, ფუტურეთში კოლექტივი არ ეფიქსა ჩამოყალიბებული.

სარგებლიანისა და კიტრადის ოჯახები ფუტურეთში შეძლებულთა სიაში იყო შეტანილი. ჩავიდოდენ თუ არა სეფე და კირილე ფუტურეთში საშეფო საზოგადოების „საქმეებისათვის“. უსათუოდ უნდა ჩაეტანათ თავიანთ ოჯახებში „ნაირ-ნაირები“, სამაგიეროდ ისინი უკან „ხელცაიელი“ არ ბრუნებოდენ... „არ ავიწყობოდათ“ მათ სოფლის კირ-ვარამიც.

მოუყრიდენ თავს მეზობლებს, დაწყებდენ ლაპარაკს სოციალიზმზე და კლმუნზმზე, ქებას შეასხამდენ სკოთა წყობილებას და ხალხიც

ახლა და წინათ

ნახ. ქოქიაშვილის



თხვადი: — ეეჰს! წახდა დრო! აქაც კი ჩაი გააშენეს, აქ, სადაც ძველად...



— მე და ჩემმა ღმერთმა ჩინებული სანადირო ადგილია!

კმაყოფილი დაიშლებოდა. საშეფო საზოგადოებას მეთაურებს ფუტურეთში კოლექტივის დაარსებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან სარგებლიანისა და კიტრადის ოჯახებისათვის კოლექტივი არ იყო ხელსაყრელი.

მიუხედევად ამისა, სხენებულ სოფელში კოლექტივი მაინც დაარსდა. სეფეს და კირილეს ოჯახები კოლექტივის გარეშე დარჩენ... საშეფო საზოგადოების უკანასკნელ საერთო კრებაზე სარგებლიანივე მოხსენებით გამოვიდა, მან ბევრი ილაპარაკა საზოგადოების ამოცანის შესახებ; აღნიშნა რომ მოკლე ხნის განმავლობაში (ერთი წლის) საზოგადოების მუშაობა არ იყო უნაყოფო.

დაბოლოს, დაუძაბა ისიც, რომ „ობიექტური პირობები“ ხელს უშლიდა მათ მუშაობას მეტი ნაყოფიერების საქმეში...

სეფეს სიტყვის შემდეგ კირილემ შიშობიანა რეზოლიუცია, რომელშიც საზოგადოების მუშაობა ცნობილი იყო, როგორც დამაკმაყოფილებელი და სეფე სარგებლიანის პატივს ეცხადებოდა.

საერთო კრებამ კირილეს წინადადება უარყო და მუშაობა არადაამაკმაყოფილებლად სცნო. საშეფო საზოგადოების გამეგობა გადაჩეული იქნა.

სეფე და კირილე გამეგობის გარეშე დარჩენ.



სოფელი ქინძიანი მთლიან კოლექტივიზაციის ნიადაგზე გადავიდა.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ქინძიანს ნიადაგი გამოეცვალოს. ან ვინ დაგანებებს თავის კარგ ნიადაგს, შენი მწირი და უვარგისი ნიადაგის იმ კარგზე გამოცვლა კარგიც რომ მოისურვო?! ასეთი სულელი ახლანდელ დროში, როცა თესვასა და საერთოდ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა და სხვა ატრიბუტები და მათ შორის მიწასაც ამდენი მსმენლობა ეძლევა, არავინ გახლავთ.

და სოფელ ქინძიანსაც, რომელიც თუმცა გადავიდა მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე, მაგრამ ნამდვილი ნიადაგი კი მას მაინც ისევ თავისი, ძველი შერჩა: მწირი, უსწორმასწორო და საერთოდ გამოფიტული.

ალაგ-ალაგ ქინძიანსაც ახლავს კარგ ნიადაგიანი ადგილები, მაგრამ ეს კარგი ნიადაგი ძალიან მცირეა. და ცუდ უვარგის ადგილებში ნოხის სიჭრელსავით არეული, ხოლო გასაგებია, რომ ნიადაგის ასეთი სიჭრელე და მთლიანი კოლექტივიზაცია ძალიან ძნელი შესარიგებელი ხდება ზოგჯერ ერთი მეორესთან, მაგალითად, ნარდი მუშაობისა, მიწის ფონდში სამართლიანობის დაცვისა თუ სხვა საკითხთა მოგვარების დროს.

მაგრამ ქინძიანელები სხვა ნაირი ხალხი აღმოჩნდნენ. ისინი, ასე ვსთქვათ, ისე, ხელმიშვერ გადავიდნენ შეტევაზე ყოველგვარი უკოლექტივიზაციობის წინააღმდეგ და შემოიღეს პირდაპირ მთლიანი კოლექტივიზაცია.

ასეთ მომენტებში დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რა თქმა უნდა, სიტყვიერ წაჩიზებას. კრილოვის არაკი „ყვავი და მელა“ ვისაც კი შეუსწავლია, მისთვის ნათელი იქნება, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე სიტყვიერ მასალას.

„გველსა ზვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“-ო, იტყოდა ხოლმე შოთა.

სოფელ ქინძიანსაც ისეთი აგიტატორი მოუვიდა იმ წელს თესვის კამპანიის ჩამტარებლად, რომ, მისი სიტყვების მოსმენის შემდეგ, სოფელმა, არც აცივა არც ატხელა, და პირდაპირ მთლიანი კოლექტივიზაცია გამოაცხადა მთელი ქინძიანის ტერიტორიაზე.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ ქინძიანში რისი მოყვანა შეიძლება რენტაბელურად.

— ეს იქნება, ალბათ, ქინძი. ამას მოწმობს ს. ქინძიანის სახელწოდებაც.

მაგრამ დამკვრელი რის დამკვრელია, თუ მან არ დაკრა თავი ჯირკს და არ დაიჩემა რალაც ზე-შეუძლებელი და ყოვლად საძნელო რამ, სძრახხსა და საზიანოს რომ თავი დავანებოთ ზოგჯერ.

ასე ქინძიანის ხელმძღვანელმაც დაჰკრა და აღარ დასძრა ადგილიდან: მთელი სოფლის ტერიტორია უნდა გადავებრუნოთ, რათა ზედ დავრვათ ჩაის ბუჩქებიო.

არ ინდობდა გზად არც მსხლს, არც ვაშლს, არც ატამს, არც ბაღს და, ასე გასინჯეთ, ზოგან არც დამყნილ ვაშლსაც კი. ყველაფერი ძველი, მოსავლიანი და სახელდახელო არა თუ აჭრილ - აჩეხილ, არამედ ძირბულიანად მიწიდან ამოვადებულ იქნა.

მაგრამ, ასე ვსთქვათ, აგიტაციისა და იერიშის ხანამ რომ განვლო, სოფელ ქინძიანს ეწვია უკვე ნამდვილი აგიტატორი სოფლური შრომისა, ე.ი., აგრონომი.

ამ უკანასკნელმა გახედა სოფელ ქინძიანს, გამოხედა, რალაც გულში შეჭომ - შემოჭომა, რამდენიმეჯერ თავიკ კი გადაიქნია და, თუმცა ძველებური ქინძიანი არ ენახა, მაგრამ ბოლოს მაინც ცხედრის წინაშე ერთად-ერთი ქირისუფალივით მიიმედ ამოიქმინა.

რაშია საქმე?

თურმე ნუ იტყვიო: ქინძიანის ნიადაგი, თესლისა თუ ნერგის უქონლობაც რომ ანგარიშში არ მივიღოთ, ჩაის მცენარისთვის, მცირე გამონაკლისს გარეშე, სრულიად უვარგისი ყოფილა.

აგრონომი სოფლად ისეთი დაბალ ლობე და უმნიშვნელო ვინმე ხომ არ არის, რომ მისი აზრი პატივდებულ და ანგარიშში მისაღები არ იყვეს.


მხოლოდ ეს ანგარიში ანგარიშიდან გამოეპარა თურმე ისეთ აგრონოტიტულ დაწესებულებას, როგორიც არის მიწსახკომი: მას დაუგვიანდა სოფლად აგრონომის თავის დროზე მივლინება.

მართალია, მიწსახკომმა სოფლად აგრონომის გაგზავნა კი დაიგვიანა, მაგრამ ამან სოფელი ქინძიანი იმდენად დაგვიანა, რომ იქ არა თუ ჩაი, რამდენიმე ხნის განმავლობაში, მეონი ქინძიც კი ვეღარ იხეირებს, რაც ისე მრავლად იყო ამ სოფელში და რითაც სოფელ ქინძიანს ისე ამაყად მოჰქონდა თავისი მთელ მსოფლიოსთან შედარებით ქინძის მარცვლის ოდენა თავი.

ენუქა.

პირუი თქმა

ნახ. ნადარეიშვილის



— თივა არა გვაქვს და რა უნდა გაჭამოთ?!
ხარები: — სტყუი! მაშ რა არის მაგ თავში?!

4

ნიანგის ბრიგადელი

რა ზამთარს პირი მოუტყდა მის მზისა შუქთა შუბითა, განღვიძდეს ღვინო ღვინო - მიწის ნაფუარ უბითა თოვლქვეშ ნათვლემარ ანელს, ნამ - ნასრუტავსა გუბითა მწკრივად წაადგეს ტრაქტორნი კოლექტივების უბნითა!

მოკლედ ვთქვა - ბოლშევიკური დაიწყო გაზაფხულია: ხენა გვევალოდის ფიცხელი, არმოხენა უხერხულია, — გადაშადისყე ყამირი, - გვაქვს დირექტივა სრულია: „არც ერთი გოჯი არ დარჩეს უთესი, უბარულია“.

რა ესმოდით დავალება, განაწესი, მონანდომი, ყველა ველად გაიჭროდისა გლეხი, მუშა, აგრონომი, — გუთნებმა და ტრაქტორებმა გაუმართეს მიწას ომი, გადანამცა უხვად გვექონდეს, სოია თუ ბამბა - ღომი, „თესლი დროზე დაცამზადდეს“ დირექტივა მიდის სწორი,

ღარიბსა და საშუალოს ნორმა ჰქონდეს თანასწორი, კლასობრივი ტერს, (ჩარჩს და კულაკს), მაგრად მოხვდეს კისერს ტორი,

რა ხენა მორჩეს, თესვა იწყოს, არ დახანდეს არცა სწორი. ამ დიად საქმეს დიამცა დიდიც ჰხამს შესრულებადი, ნიანგმა მიტომ შეჰყარან თავისთა სპათა კრებაი, გააბრიგადნა ყველაკა, უბრძანა თემად რებაი, მეც კამპანიის მსვლელობის მომანდო შემოწმებაი.

სიქვა თუ; - ფარსადან, ზოგ მუშაკს ტემპის შეგნება არ ცხია,

შემოვლე, ნახე გვემასა ვისგან შეემთხვა მარცხია, სად ვის რამდენი მოუხნავს, რამდენი დაუფარცხია, თესლი მზადა აქვთ? ვინ არის დასაფერობ-დასანარცხია?

სიქვა და წარვედ უტაიჭოდ, არ ვაყოვნე არ თუ უამი, თემს ვეწვიე, სოფლებიმიცა მოვლე ოცი, არა სამი, გაზაფხულის კამპანიას გაუკეთე ზუსტი ჯამი და რაც ვნახე, ძმაო ნიანგ, მოისმენე აგერ სამი:

ქუთაისს ვიყავ პირველად, ვნახე კოლმეურნაკავშირი: ამ უწყებამან დილაც პირს ჩამოისვა ნახშირი, თვით ყურზე სძინავს, კოლექტივს—კულაკებს ჰყავს ნახშირი,

და თესვას ვინ ჩაატარებს? უხმო, ნატმანსი თახსირი?

ტყაჩირს ვესტუმრე ფარულად, ამბავს მოგვარი ყურია, კოლმეურნების ხელმძღვანელს კომბინაცია სწყურია, თესვა მთლად დავიწყებია, „სხვა“ გზით იშოვა პურია, ერთი ორიოდ უცხუნე და აუწიე ყურია.

ბოლომს ვიყავი, ხონშიცა, ჩხოროწყუ გადავიარე, მოველე გორი და სიღნაღი ფეხები დავივიარე, ყვარელ-თიანეთს ვეწვიე, ამბავი გაგიზიარე: მოუხნავთ, თესლი არა აქვთ (კულაკთ დაუთმეს დიარე)

ზუგდიდშიცა შევიარე, დავყავ ხანი რაოდენი, ვნახე ფაქტი აღმაშფოთი, მცონარების და თვითღენის; ხენას წუ იტყვი, ჯერ მიწებიც არ დაუყავთ ნორმის ენით, მართ წაავას ოპორტუნისზმს აქაურთა ეგე სენი.

აგარაში სხვა კარგათ ქნეს, გარნა მოხდა ფაქტი ეს ვა: თესეს პური, თესეს ქერი, დაავიწყდათ ბამბის თესვა, აქ თემბაქოს დასჩემდამცა ყურთა ბამბით ამოგლესვა, არ აწყენდა დამნაშავეს - ნიახური ამოგესვა!

სტალინისს გახლდით, მართოდენ აქაც ბევრია ფაცია, ვნახე მემინდვრეთ კავშირი — (ახირებული „კაცია“). ოპორტუნისტობს, ჩაშალა - ნათესთა კონტრაქტაცია, ეკუთვნის ნიანგ, ამასაც დროზე გაართვა გნაცია,

ჩაქვ-ოზურგეთიც გადაველე აწ ვერლა გადამრჩა ისა, რაც ვნახე ვერ ვაპატიებ მე „საქართველოს ჩაისა“ ამა უწყებამ თესვის დროს გულს სიზარმაცე ჩაისვა, დათესა 4 პროცენტით (და მან გაისად რაი სვა?)

აჰამცა ნაკლთა ესდენტა მე მოცავკარი თვალია, და გიპატაკებ შენ, ნიანგ, მე ფარსადანი-ფალია მაგრამ მიღწევაც ბევრი გვაქვს თუმც აქ არ ჩამოვთვალთ, ნაკლს ვამხელთ, დროზე აღმოვფხვრათ, ეს არის ჩვენი ვალია.


რომ თესვა მედგრად წარემართოთ, როგორც დღეს, ეგრევე ხვალთა,

მოსავლით თვითონ ავავსოთ ძარი, ბელელი, ნალია, კოლექტივს ბურჯი გაედგას - კულაკს გამოსტყვრეს თვალია.

ფარსადანი.

ზოგ ერთ რაიონებში

ნახ. ქოქიაშვილის



მარტო ჩოხატაურის რაიონი არ იგულისხმობთ.

როგორ მოხვდა თავმჯდომარე?

როგორ მოხვდა წუწუნაძე კოლმეურნეობის თავმჯდომარეთ, დღემდე გაუგებარია. გასაგებია მხოლოდ ის, რომ ეს კაცი შეპყრობილი იყო ეგრედწოდებულ ხოჭომანით, ყველაფერში მერყეობდა და ყველაფრის წინაშე იხეთქდა გულს.

„თებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩაღა“, — მხიარულად შემოილაპარაკა კოლექტივის თავმჯდომარის მოადგილემ, — მალე ხვნასაც დაიწყებთ.

წუწუნაძე შეშფოთდა:
— რაო? ხეში წყალი ჩაღაო? მერე და ხომ დაგვიღა ჩვენი სააღმშენებლო მასალები!..

— ნუგაძინია შე კაცო, ეგ ისე ვთქვი, სიტყვამ მოიტანა. მაგას ჯობია, ცენტრს გაუგზავნოთ ცნობა ტრაქტორების შესახებ!

— გაუგზავნოთ? კი მაგრამ, რომ არ გამოგვიგზავნონ? ან ცნობა არ მივიღეს?

დიდი ბრძოლის შემდეგ მოადგილემ თავისი გაიტანა.

— არ შევადგინოთ თესვის გეგმა?

— რა გეგმა გვინდა, — აწრიალდა წუწუნაძე, გლეხები ისეც დასთესენ, სჯობს თვითმიმდინარებას დავეყრდნოთ...

— რას ამბობ კაცო? შარშანდელთან შედარებით ნათესები ორჯერ უნდა გავაფართოვოთ!

— კი მაგრამ, რომ არ გაფართოვდეს? სადაა მიწა?..

— გაფართოვდება! მიწების მეტი რა გვაქვს!

— ჩვენს კოლექტივში კიდევ მოდიან გლეხები, განვიხილოთ განცხადებები!

— აჰ! ტყუილი იქნება, რა დროს კოლექტივია, თესვა იწყება!..

— თესლიც უნდა შევავროვოთ, შევწამლოთ, გავსწმინდოთ, მანქანებიც შევაკეთოთ, კოლექტივი გავაფართოვოთ.

ასეთი ხასიათის დადგენილება მიიღო გამგეობამ.

— დავილუპებოთ, — განაცხადა წუწუნაძემ, — ეს გეგმა ყოვლად მიუღებელია, ერთი რომ კოლექტივი დაგვეშლება, მეორეც — თესლს ვერ შევავროვებთ, რომც შევავროვოთ, ვერ გავარჩევთ, ხოლო თუნდაც გავარჩიოთ, ვერ შევწამლათ... ამას გარდა, მანქანებს ვერ მივიღებთ და რომც მივიღოთ, გაგვიტყდება... ვინ იცის აქ მანქანის მოხმარება... დავლუპებოთ, პასუხსიგებაში მიგვცემენ, პარტიის ხაზი გავგიმრუდდება...
სე „დაიცვა“ წუწუნაძემ ხაზი.

წუწუნაძე იმავე სხდომაზე გადააყენეს ოპორტუნისტობისათვის.


— განა ოპორტუნისტობა არ არის ჩემი გადაყენება? — თამარებული ფიქრობდა სახლში მიმოვალი წუწუნაძე, — ამას რომ ცენტრი გაიგებს, ხომ მოხსნის ამ ჩემს მომხსნილებს...
სო. უნ-ო. ლლი

ს ა ლ ა თ ა ს ძ ი ლ ი

ზოგი კოლექტივის ხელმძღვანელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მანქანებით კოლექტივების მომარაგების საკითხს.
გაზეთებიდან

ნახ. აღდადანოვას.

6



მინდორველი მიანება კალიების „მდინარესა“ ტკბილ ძილს მისცა თავი თვისი. ნუ აშფოთებთ მძინარესა.



ნ. ნადარეიშვილი

კულაკი: ეხლა მაინც აღარ დაიფერებ, რომ ამოდენა მინდვრებზე ბაზბას ას მეტრიან საერთო საბნისათვის სთესენ?
— შენთვის რა დამიფერებია, რომ ახლა ეგ სისულელე დაგიფერო?!

ყველამ მივბაძოთ ნიკოს


„კონკურსი გამოცხადდა საგაზაფხულო თესვის, რომ განვაშტაკიოთ სოფლის მეურნეობის ფესვი. რომ წარმატებით შრომით ჩვენ ყოფნა შევქმნათ ხვალის და გამარჯვება დროშის გულს გვიმატებდეს ხალისს. მტკიცეა ჩვენი ნება, ჩვენი ნდობა და რწმენა, გული რკინის გვაქვს; მკლავი ფოლადისა გვაქვს ჩვენა“
ასე მივხატებ ნიკო კოლექტიველი გლები, სული და გული სოფლის, გამარჯველი გაუტები. აბიბინოები ჭალავი, ახოვ, ნუ დამიღონდი! — დაგვიტრიადლა ნიკო:

განდა სა... ე ფონდი. ნიკო ტრიადლი. მჯერა— ნიკო არ გვაჭმევს სირცხვილს არც კი მოსულა ჯერა აპრილის შუა რიცხვი... და დაუნახავი მიწა გაკენეტაც არსად დარჩა. მალე დაგვატკობს თვალებს მწვანე ჯეჯილის ფარჩა: არ დარჩენილა მიწა მოუნახავ-მოუთესი, რადგან ნიკოს აქვს, ჰქონდა გეგმა, მიზანი, გეზი. ჩვენს კოლექტივში შარშან ხარი ნიკორა, ირმა, კინალამ მიიწორა არა სნებამ და ჭირმა, — არამედ უჩალობამ. ხარებს გვარგავდით ნაქებს

რადგანაც შორი მხრიდან ვეზიდებოდით საკვებს, წელს ხელსაყრელი თავზე იქნება ჭერი, ჩალა, მოილხენს ირმა, ლურჯა — ჩვენი გამწვევი ძალა. და ნათესობის სიგრცე გადიდებული ასად, ხვადით აავსებს ბავის სახურავებს და ფასადს. ნიკომაც იცის ეს და სოცმეფეების ფასიც შემხილრი გეგმა უწინ მან შეალოინა სხი... შეჯიბრში ილიის ახლა ნიკო ტრაქტორისტ კოტეს. ყველამ მივბაძოთ ნიკოს, ძღვევით ავიღებთ ფრონტებს!

მადლშვა

ჩვენი მს. კავალარიის თავდასხმა



ქიწსასკოვის

ზოგ დაწვს ეგულებზე

გრ. ვ. კოჭუა

(სახ. მეურნეობის ტრესტი)

გრიგოლს ყოველთვის უყვარდა ცხოვრება ფართო, ტკბილია. მენშევიკების კომისარს ბასრი აქვს ენლაც კბილია. ტრესტის სარ...-სა მიაგნო, გამოუთხარა ძირია. მუშა ქალთაა მოუწდა. მას ერთხელ ძალით ძილია.




ღვინის ს...-რადებს გაალებს ღამით, როდესაც სწავლია. თან ახლავს თავის ამქრები, ხელში უჭირავს მწვადია. გამოგონება იქურდა, გაყიდა როგორც თვისია. ადგილზე რომ ზის ამდენხანს, ნეტავი რის მაქნისია?!

ნ. ჟღენტი

(სათესლე საქ. საღ. ლაბორატორია)

ხმა გაიკმიდეთ სუყველამ, ჟღენტი გახლავარ წინაო. თქვენ მუშები ხართ უვიცნი, ენის თქმას ბედავს ვინაო?



ყოველად ძლიერმა გამჩენმა მე სპეცად გამაჩინაო. სწავლის და ცოდნის უნარი არ არის თქვენსა შინაო. ცოდნა რა თქვენი საქმეა, თავში გაქვთ დუტი შინაო. ყოველად ძლიერმა გამჩენმა მე სპეცად გამაჩინაო.

ლ. ბასტაძე და ა. დემეტრაძე

(ექსპ. აგრ. ინსტიტუტი)

გვიან მოდიან და ნაცვლად აღრე მიდიან შინაო. პუდრი, პამადა და სარკე მათ უღვეს მუდამ წინაო.



ამბობენ: ჩვენ არ გვეხება ეს თქვენი დისციპლინაო. საყვედურ-გაფრთხილებებით ვერავინ შეგვაშინაო

ი. ლომოური

(ექსპ. აგრ. ინსტიტუტი)




ჯამაგირს რომ არიგებდენ, მოვიდოდა მხოლოდ მაშინ; ჩაიღებდა ფულს ჯიბეში, და გარბოდა ისევ სახლში.

ირ. მ. ზანკვეტაძე

(ექსპედიტორი)

ირაკლიმ სთქვა: კულაკი ვარ, მივატოვე ზესტაფონი. ანოვედი ტფილისში და




გამოვსცურე ტრესტში ფონი. ჩარჩობისთვის თუმცა ახლაც ხშირად მხვდება საყვედური, — მაგრამ მაინც ჩემსას ვშვრები, არ ვათხოვე ამათ ყური.

ალ. გ. კაფიანი

(სახუქის საცდელი სადგური)

უფეგმობით კათი... ლომოურს არ ჩამორჩება. ახალ ყოფას ვერ ეგუა, წარსულსკენ გული რჩება. მცონარა და უპრინციპო საქმეშია მეტად ნელი, „ობიექტიურ პირობებით“ სურს მოითბოს იმან ხელი.




ახლაც მისი გუფრილობით თვისის გეგმა ჩაიშალა, და „პირობებს ობიექტიურს“ ეს ამბავი დააბრალა.

ვლ. კ. გაფარეული

(ღვინის მთ. სარდაფი)

თანამდებობით უფროსი მეღვინე—გაწერილია, ცვლის გაზეთში თუმც იყო ის ბევრჯერ გაწერილია, — მაგრამ ეს ფეხზე ჰკილია, შუბლმაგარია ბიჭიო;




ყალბი ცნობების შედგენას, ხომ უნდა დიდი ნიჭიო. ანაყი არის ყველასთან, (არც არის გასაიბიო, — აზნაურებს და თავადებს ზევით ეჭირონ ცხვირიო). ღვინის დაშრობის ცნობები გაზარდა ერთი სამათა. სარდაფს რომ იგი უჯდებო, — განა ღირს იგი ამათა?!

თავისებურათ გაიგო

ნახ. ქოქიაშვილის.

შევრი კოლმეურნეობებში ოპორტუნისტულ
ხელმძღვანელობის გამო იგვიანებენ წარდ-საბუ-
შაოზე გადასვლას, რაც აფერხებს საქმეს.
(გაზეთებიდან).



კულაკი (ოპორტუნისტს): — შენს გარდა სხვა აღ არავინ დამრჩენია... ვის რა უნდა შენთან? ამაზე უკე-
თესი წარღი სამუშაო გავიწილა სადმე?!

გამგე და ნოქარი

ტრაქტორები დილიდანვე აგუგუნდნენ ძველი სენაკის მინდორ-ველებზე. ისმის კოლექტიველთა სიმღერა, სახუმარო და სამხიარულო:

საერთო შრომას რაღა სჯობს
დოვლათი არის მეთიო.
ვინც ვერა ხედავს ამასო
ბრმა არის ან ჩერჩეთიო.
ჰაუ, სადა ხართ კულაკნო,
ანდა მათ მცველნო თქვენაო?
მოისპო თქვენი ხსენება,
მუცელში ჩაგრჩათ ენაო..

უცბად ტრაქტორი მოედო რაღაცას მიწაში ჩაფლულს.
ნახეს საგანგებოდ ამოთხრილ ორმოში:

რა გინდათ, შიგ რომ არ იყო:
შაქარი, ბრინჯი, ფართალი.
უნდათ გაიგონ — ვინ არის
დამნაშავე და მართალი.

თურმე „ებო“-ს სავაჭროს გამგე და ნოქარმა:

ამოთხარეს საფლავი და
საქონელი გადაძალეს.
თავს დაესხენ ნოქრებს ღამით,
ჯერ მიაღვენ გამგე ალეს.

და გამართლდა ხალხური თქმულება: „ნუ უთხრი
სხვასა ორმოსა, თორემ თვითონვე ჩაფარდები შიგო“.

ახლა ძმა-ბიჭები სხე.იან გამსახლში და საღამოს,
როცა მზე ჩადის, სევდის ხმაზე ამღერდებიან:

ორმოში „ებო“ ჩავერეთ დასამალადო.
მაგრამ ამოურა გავგინდა ხათაბალადო.
აღმასკომი ღობეს მოდგა დასაჭერადო
შეგვიპურეს და წავგიყვანეს ხალხი იყო ცქე-
რადო.

ამ დუეტის შემდეგ ორივე ალექსანდრე ცალკალკე
იწყებენ გასართობ სიმღერას:

პირველი ალექსანდრე (ე. ი. ჯანჯღაძე):
კოოპერატივის გამგე ვარ
ჯანჯღაძე ალექსანდრეო.
გვიან გამიგეს კურდობა,
მე კი დავიწყე ადრეო.

მეორე ალექსანდრე (ე. ი. ჩემია):

„ნომერ ხუთმეტ“ მაღაზიის
ნოქარი ვარ ჩემიაო.
ჩვენი „ებო“-ს საქონელი
გამგისა და ჩემიაო.

ლოლიკური ბოლო

სოფ. ოფეთში ბევრი ნატრობდა სანიკიის მოყვ-
რობას.

— დასწყველოს ღმერთმა, ნათვლობა აღარ არის,
თორემ სანიკიძეს მოვანათვლიებდი შვალს! — ფიქრობ-
დნ ოფეთის კულაკები. — პრეზიდენტის წევრია, ყვე-
ლაფერში დამენმარება, თუმცა-ლა შველას ახლაც არ
მაკლებს.

— ქალო, ეგებ სანიკიის ნათესავი ხარ, მიშველე
და ერთი საკაბე გამოჩატანიე კოოპერატივიდან. სადუ-
ქნო კომისიის წევრია, ქალო, და თავისიანების გარდა
სხვებს არაფერს აძლევს.

— შენი არ მიკვირს, ჩემო დესპინე! იგი რომ ჩემი
ნათესავი იყოს, რა მიკვირს, ჩემისანა ბედნიერი ვინ იქნება!
სანიკიძე კი ფიქრებს მისცემოდა:

სიტყვა და საქმე

— ამხანაგებო, — გაისმა პავლე ხურციძის, გრიშა
ტულუშის (სარეწაო კოლმეურნეობის თავმჯდომარე) და
ბარამიძის (ტფილისიდან მივლინებული, სარეწაო კოო-
პერატივის ინსტრუქტორი) მჭუხარე ხმა ბაღდადის მშრო-
მელთა საერთო კრებაზე. — ამხანაგებო, მთელი საბჭო-
თა კავშირის მშრომელი მოსახლეობა ხვალ, ე. ი. აღ-
დგომას მუშაობს და...

— ჩვენც ვმუშაობთ! — გაისმა პასუხად.

— ღიახ, ჩვენც უნდა ვიმუშაოთ. აღდგომა მუქთა-
ხორების მოგონილია. ჩვენ უნდა დავივიწყოთ ძველი
ტრადიციები. ამხანაგებო, არც ერთი ქეიფი და მთვრალი
ხვალ! — ჩაატარა ზემოხსენებულმა სამეულმა ბაღდად-
ში ანტირელიგიური (სააღდგომო) კამპანია.

მართლაც მეორე დღეს, როცა აღდგომობრივი ხუცე-
სი და დიაკვანი მძიმე ფიქრებს მისცემოდნენ, მთელი მო-
სახლეობა სამუშაოდ გამოვიდა. გაიმართა დამკვრელო-
ბა და შეჯიბრი. ყველანი ისე იყვნენ მუშაობაში გარ-
თულნი, რომ მზის ჩასვლაც არ გაუგიათ.

საღამოს გადახედეს ნამუშევარს და...

თვალუწვდენელი ველი, გადაბარული ველი გაიშა-
ლა მათ წინ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სად არიან ხურცი-
ძე, ტულუში და ბარამიძე, რომლებიც გუშინ აგიტაციას
გვიწვედნენ: აღდგომას ვიმუშაოთ?

— სად არიან, და სოფ. დიშში, დილიდანვე ქეიფო-
ბენ! — სთქვა ერთმა.

— სტყუი, აქა ვარ? — გამოვარდა ხუციძე.

— თუ იყავი, რატომ არ მუშაობდი?

— „პანმელაია... პანმელაია“, და მუშაობა არ შეუ-
ძლია! — დაიძახა ვილაცამ.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, დაინახეს — ვილაც ცხენს
მოაჭენებდა.

უცბად მხედარი ცხენიდან გადმოვარდა და ცხენი
გაიქცა.

ეს იყო ტულუში.

ცხენს დაედევნა მეორე გმირი — ბარამიძე.

ხალხი ირაინის, იცინის კვდება სიცილითა.

ანდაზები:

— არა შეჯდა ვარი ცხენსა, არა იყო ჯოში მისი.

— ცხენმა სთქვა: ისე არ დავგლახდები, რომ ვირმა
მაჭენოსო.

— გზა გავიკაფე, ზოგიერთები ერთმანეთს გადა-
კიდეს; ეს ჩემთვის კარგია. კოოპერატივის ზორბად დავა-
ჯექ, მაგრამ ეს კომკავშირელები რომ არ მასვენებენ თა-
ვიანთი კედლის გაზეთით! საქირთა ამ უკანასკნელი სი-
მაგრის აღება, მაგრამ, როგორ?

ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, ასე იყო თუ ისე
იყო სანიკიძე კედლის გაზეთის რედკოლეგიის თავმჯდო-
მარედ „იქნა არჩეული“.

გაზეთის ენაზე ბოქლომი დაედო.
ომგადახდილი და გამარჯვებული სანიკიძე ტკბილ
ფიქრებში იყო, რომ კარებს დაუკაჭუნეს.

სამი დღის საკანში დასვენების შემდეგ, საქიროდ
დაინახეს მისთვის ხანგრძლივი დასვენება და ამიტო-
მად განთავისუფლეს იგი ყოველგვარ თანამშრომლობიდან.





ნიანბის ბასაირნება

ნიანბის ბასაირნება
საქართველო
საქართველო

ერთი უხეშო თქვენ ამ სიბრს —
უხეშო თქვენ „ნიანბ“.

„აღბულალ-მანგლისის კოლმეურნეობა
„ზარია კომუნისმა“-ს გამგეობის წევრმა სა-
ერთაო კრებაზე განაცხადა, რომ იგი არ
სცნობს ხენა-თესვის საქმეში სანარდო სის-
ტემაზე გადასვლას, რადგან მასში ვერ ხე-
დავს ხიბს“.

ბრივადირი.




„ოლა იყო კომერსანტი —
„გრამ ხეირს არ ეძებდა,
ივის ცოდნას და საქონელსა
ხელგაშლილად არიგებდა —
ეს კი, აი ეს მოლა-კი,
კოლმეურნედ რომ სოვლის თავსა,—
მხოლოდ „ხეირს“ ეძებს ყველგან
თვის ფიბეში მოსათავსად, —
მის თავში კი — კულაკური
აბლაბულა უძევს ხავსად.“

ღიანაც ღიღი ნაქლია
როცა ცენტრს—ცენტრი აქლია.

„სატრაქტორო ცენტრმა თავის დროზე
მიიღო ტრაქტორების სათადარიგო ნაწილე-
ბი, რომლებიც დღესაც არ დაუზავნია ადვ
გილებზე. რაიონებში კი ნაწილების უქონ-
ლობის გამო მრავალი ტრაქტორი მოსცდა
და თესვა დაგვიანდა“.


რამი.



სათადარიგო ნაწილებს
თხოულობს რაიონისა,
ტრაქტორცენტრსა კი — შეხედვ
აგერ რამდენი ჰქონია.
— მერე იმათი გაგზავნა
რატომ ვერ მოუგონია? —
— მითომ რომ ცენტრში—ვილაცას
ცენტრი აქლია მგონია.

ვისი ბრალია მსაო
რომ გვინანდებთ თესვაო?

„გომის სატრაქტორო სადგური ამუშავებს
უცოდინარ ტრაქტორისტებს. მათ დააზიანეს
რამოდენიმე ტრაქტორი ბებნისის მინდორ-
ზე, რამაც გამოიწვია ხენა-თესვის უფორ-
ხება“.




ბებნისში ვნახე ტრაქტორი
ატირ-ბული ძალზედა:
ღერძბრუდეს, თქმა მოტენილს
ცრემლი სდიოდა თვალზედა, —
ამბობდა:—ჩემ თავს არ ვტირი,
და გული მაზე მწყდებოა,—
გომელ ბეცების წყალობით
თესვა რომ დაგვიანდა“.

რა გეჩქარებთ მათაო?
ხვალაც ამ თვისა არია.

„ს. გორდის კოლმეურნეობის მიწების მო-
ხენა დაგვიანებთ დაიწყეთ, ხენა დაუშვებ-
ლი ნელი ტემპით მიმდინარეობს, მოსალო-
დნელია თესვის გეგმის ჩაშლა“.

გორდელი.



„სატრაქტორო სადგური
არავის მოუჭამია“ —
ჩვენ ეს ანდაზა ამოვწვით
ჩვენი ყოფიდან ძამია, —
თესვა გაჩაღდა, ძვირად ღირს
ჩვენთვის ყოველი წამია, —
ეს კი ძილშია გართული
ეგ სადაური რამეა?

ხარის სჯოგია ღონება
საქმის თუ „მოუხონება“

„ხონის რაიონში ცენტრიდან გაგზავნილი
ბოსტნეულობის თესლი დღესაც საწყობში
ყრია და ღივდება, მიუხედავად იმისა, რომ
მათი თესვის დრო უკვე თავდება“.


ადს.



მას დიდი სიბრძნე რათ უნდა
ქეუაც ეყოფა ყვავისა:
მინდორში რალთ დათესოს,
როცა საწყობშიც ყვავისა, —
ხახვი აულორტდა, კომბოსტომ
იწყო გამომბა თავისა, —
ესეც თესვაა, მაშ რაა,
უთონენდ—მოსარწყავისაო“.

სულ არაბრება აქრობია
ძირ-გავარდნილი გოგია.

„საქართველოს ჩი“ თესვის გეგმის შეს-
რულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩა. დათესი-
ლია მხოლოდ გათვალისწინებული სივრცის
4,4 პროცენტი“.



აჰა, ტემპია, რა ტემპი —
თავბრუდამხვევი სისწრაფის
„დაწევა—გასწრებისათვის“
რა ქნას „საქაიც“ ისწრაფვის,
ოთხის პროცენტი ხომა აქვს.
მაშ რაღა დასაგომობია,
სულ არაობას ხომ იციო
რომ ცალი ხარი სია“.

პირველ მაისს გამოვა
„ნიანბი“-ს
საპირველმაისო ნომერი



სირკულიარების მიღება

— მთავარი საქმეა ხელმძღვანელობა! — ამბობს დაწესებულების ხელმძღვანელი.

— რაღა თქმა უნდა, ხელმძღვანელობა პირველი ამოცანაა! — უმატებს განყოფილების გამგე.

— იკოცხლეთ, ხელმძღვანელობა ძირედი პრობლემა იყოს! — ამტკიცებენ გამგეთა მოადგილენი.

— ე ბიჭო, დავაწვიო ხელმძღვანელობას, — ფუსფუსებენ საქმეთა — მმართველნი.

მთელი დაწესებულება ამ მთავარი საკითხის გარშემო ტრიალებს.

— ხელმძღვანელობა, მაგრამ რით? — ეს არის საერთო საკითხი, რომელიც ყველას წამოეჭრა წინ, ვითარცა ბრიგადის არდილი.

— ვიგონებ, სჯობია ქალაქით! — ამბობს გამგე.

— რაღა თქმა უნდა, ცირკულიარებით უკეთესია, — ამოწმებს საქმეთა — მმართველი.

— მე მიყვარს ცირკულიარული და სხვა ამგვარი წერილები, — მრავალმნიშვნელოვნად ამბობს კანცელიარიის გამგე და საქმის-მწარმოებელ ქალს სტყორცნის არანაკლებ მნიშვნელოვან ღიმილს.

ლის აგრო — სექციის კანცელიარიიდან.

მაგრამ... ეს წარსულის ამბავია.

ახლა:

მიწსახკომის საკანცელიარო ხარჯები მინიმუმამდე დავიდა. საგრძნობლათ შემცირდა სათანადო მოხელეთა რიცხვი: კალმოსნობაზე ნაკლებია მოთხოვნილება.

სამაგიეროთ:

— ბრიგადა — დუშეთში! რაზმი — კახეთში! რწმუნებული — გორში! აგრონომი — ლეჩხუმში! ექსპედიცია — იმერეთში! აგრო — ტენიკოსები, მიწადმომწყობნი, ზოოტენიკოსები, სტუდენტები, სასოფლო — სამეურნეო ინჟინერები, ინსტრუქტორები, ყველა, ყველა, მთელი ცოცხალი ძალები სოფლად! თესვისა და კოლექტივიზაციის ფრონტზე! ბეთჰოვენის სიმფონიასავით მოქმედობს ასეთი სხარტი, მოკლე, საქმიანი განკარგულება.

სოფლად, კოლექტივებს, მიხვდებით, რაც ამბავი ექნებათ.

— ოხ-ნ-ხ! თქვენი მარიფათის ჭირიმე! აი, დახმარება და ხელმძღვანელობა ამას ქვიან! პირდაპირ აგვაგვეთ აგრონომებით რაღა! — გაისმის მათი ხმა.

— იმ ოხერი ცირკულიარებით,

რომ თვალებს გვაბრეცინებდით, თავიდანვე ასე მოქცეულიყავით! — ეუბნებიან ისინი ცოცხალ აღამიანებს, ხელმძღვანელებს, დამხმარეებს.

მიწსახკომელები თან უხსნიან, რომ მუშაობის ახალი მეთოდების ხანა დადგა და თან გაცხარებული მუშაობენ ადგილებზე, კოლექტივის, საბჭოთა მეურნეობის, ახალი სოფლის საქმეებზე.

გაცხოველებით მუშაობს სოციალისტური სოფლის შტაბი — მიწსახკომი.

გაჩაღებულია ნამდვილი ცოცხალი ოპერატიული ხელმძღვანელობა.

მაგრამ მე ვიცი, გამოჩნდებიან ზოგიერთი ურწმუნოები, რომლებიც ამ უკანასკნელ სიტყვებს ხალას ქეშმარიტებათ არ მიიღებენ:

— არც ეგრა საქმე, იტყვიან ისინი, — მიწსახკომი გადახალისდა, ხელმძღვანელობა გაუმჯობესდა, მაგრამ ნამდვილ, ასპროცენტთან ცოცხალ ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ აკლია საკმაოდ.

მოდი და საწინააღმდეგო უმტკიცე ასეთ ხალხს, მით უმეტეს, რომ ისინი თითქმის პართალს ამბობენ!

ალღარ-ალღარსან.

12

ჩაღდება ქალაქით ხელმძღვანელობა. დირექტივები, ცირკულიარები, ცირკულიარული წერილები, მიმართვები, დავალებები, მოწოდებები...

„ამიტომ გევალებათ უმოკლეს ვადაში განახორციელოთ“

„ №358 ბრძანების განსამარტებლათ გატყობინებთ“

„დამატებით მონაწერ ცირკულიარისა, გაცნობებთ“

და სხვა.

— ვაი, ერთი სახეზე შემახედა ამის დამწერისათვის, — ნატრობს ადგილობრივი (სოფლის) მუშაკი, რომელმაც ვერაფერი გაიგო.

— სად იზოვეს ამდენი უცხო სიტყვა, ამდენი „აცია“, „იზმი“. ამას აქაური კაცი გაიგებს? — სასოწარკვეთილებით ასავსავენ ხელებს აგრო-რწმუნებულო.

— ეს დალოცვილი მიწსახკომი ამდენ ქალაქს რომ გზავნის, ცოცხალი ხალხი გამოგზავნოს, გაგვიცნოს, თავი გაგვაცნოს ის არ სჯობია? — ამბობენ სოფლის მუშაკები.

— მიშველეთ, ვინ ხარ აღამიანი, ამ ცირკულიარებმა მეშვიდე სტადიის კლექტი გამიჩინეს. — ისმის სოფ-

ახალი გამგე

სალხინოს საბჭოთა მამულში გამგე იშვიათად დადის. თხებმა გააოხრეს მეურნეობა

ჩახ. ტაბატაძის.




გამგე: — შემოშვით, მეურნეობის გამგე ვარ!
— რას ამბობ! ამდენი ხანია აქა ვართ და ერთხელაც არ გვინახავხარ... გამგეთ უკვე მე გახლავარ!

ნიანგკორების თავდასხმა



სალათას ძილი

სამტრედიის რაიკავშირია, სადაც უთავბოლოა სწორია. სოფლად თესვა დაიწყო და მან კი შეირცხვინა პირია. ყრია უპატრონოდ გუთანი ათასი ცალია, რაიკავშირია.



დასუტა თვალია. ან კი მას თევსისათვის სადა სცალია. ზის გუთნებზე როგორც კრუხი თვითმდინარეობაზე დაყრდნობით უხვი. თესვა ტუბილი ძილი ჰგონია, ვანა ეს მოსაწონია?

ჯან.


ღვინა უირამიდან.

შირაქში გაჩნდნენ ნათესების მაცნებლები — თავგები და სხვები. მაცნებლების გაჩენამ უსაზღვროთ გაახარა კულაკები და აგიტაციას ეწევიან თავგებში. თავგებს ხელმძღვანელობს კულაკი ივანე და მოუწოდებს მათ კოლმეურნეობის და საბჭ. მეურნ. ნათესების განადგურებისაკენ. აგროპუნქტი თვითმომდინარეობაზე ეყრდნობა და არავითარ ზომებს არ იღებს. მართალია, დაიწყო მოლაპარაკება დროებით ზავის ჩამოსაგდებათ, სანამ წამლის მოტანას მოიფიქრებდეს, მაგრამ თავგებისაგან ჯერ პასუხი აგროპუნქტს არ მიუღია. დამატებით გაცნობებთ.

ღ.ძე.

ბახჩო

ახალ სოფელში იყო და არა იყო რა, კულაკები ღარიბთა შრომით ამოიყარა, იყო კულაკი ბახჩო, ქონმა ღამის დაახლო. დაარსდა კოლექტივი. კულაკები დააცურეს, როგორც ტივი. მან ძალიან იყვანა. გაუთხელეს კეფა. ბევრი იღვანა, კოლექტი-



ვის დანგრევაც ითავა, მაგრამ ჩავარდა. თავად, რომ ვერაფერს ვახდა, ახტა და დახტა, კოლექტივში შეძრომა განიზრახა, იქაც გაუშრეს ხახა: ჰკრეს პანდურია და წამუტუნებს წუწუკი მურია. ციც, ბახჩო, ხომ არ გ'ვია, ან ხომ არ გ'ყურია, გეყო, რაც ჰამე მშრომელ ხალხის პურია.

ნიანგო, სხვა კულაკებსაც აუწიოთ ყურია და მგარდ ამოგვხოთ მურია.

ბრიგადირი.

ქონიანი ნიჩაფი

„საქართველოს ჩაი“-ს მომარაგების ექსპედიტორმა უვანიამ 3.000 ბარის გაგზავნა რამდენიმე დღით შეაჩერა, რამაც შეაფერხა გეგმის შესრულება.

ნიანგორი.




როგორც ხიანს, უვანია ბიჭია ქებულის (ვინ იცის, იქნებ სხვის ზურგზე გასუქებული), ოპორტუნისმით დაავადებულია, და მის მიერ საწყობში ბარები დასილოსებულია, ისე, რომ არ დაჭირვებია ძმარია, ასეთები სხვაგან ბევრი არიან. მოუხდება უვანიას გაქონილი ბარია, ეს ამბავი ღედანთან სწორია—სწერს ნიანგორია.

ნიანგელი.

მთქნარება

გაზაფხულის თესვა დაიწყო. გამოიცვალა ჰავა, მაგრამ გაუტკბა ყავა საბჭოს თავმჯდომარეს. (სოფელი უშვაფათია) და მანქანები მათი, ასეული—ათი, ჰყრია რაიონში. თავმჯდომარეს არ აქვს თესვის ხოში და სძინავს ამ ტემპების დროში; ვერ მოსულა გონში. საწყობიდან არ მიაქვს თესლი (ალ-



ბად გულში აქვს ოპორტუნისტული გესლი). თავმჯდომარეც, ბიძია, სანამ ცოდვამ გიწია, თესვას მოკიდო ხელი, თორემ გაგიშრება ყელი. მერმედ ვეღარ გიშველის სიმღერა „აბადელია“ და ვერც შენ რომ გიყვარს ის მღვდელია.

მა—ლა.

„ზოგი კოლმეურნეობები ცუდად არის შელობილი და საქონლები ანადგურებენ“.

ნახ. დონის.



— როგორ! თქვენ მესაქონლეობასაც მოჰკიდეთ ხელი?
— არა, ეს სოფლის საქონელია ჩამოსული ჩვენს მეურნეობაში.



ბ რ ი გ ა ლ ა ე ლ ო დ ის

„საგაზეთო-საბეჭდო-საბეჭდო-საბეჭდო“ თვის გეგმა ბოლომდე უკრძალავდნენ. მთლიან კოლექტივი-ზაციის საფუძველზე მოვსპოთ კულაკობა, როგორც კლასი“ — ასეთი ლოზუნგი გაკრული ქონდა გიორგი ნიორაძეს თავის კაბინეტში კარებში შესავალთან.

გიორგი ცენტრიდან მიღებულ ცირკულიარებს მაგიდის ქვეშ ინახავდა. გაზაფხულის თვისის საკითხები არ აინტერესებდა. თანამშრომლები კულაკებით გაავსო. დაარიგა შიკრიკი:—როცა ჩემს კაბინეტში შემოხვდით და თვალი გიჭია, მაშინ „ამხანაგი“ დამიძახე; ისე კი „ბატონი“-ს მეტი არაფერი წამოგცდეს, თორემ...

— ბატონო, ტოლონთან გთხოვენ.

— გისმენ ნიორაძე.

— აქ დღეო პასევი? — ეკითხება შინდინის საბჭოს თავმჯდომარე ნატო. მივიღე ასეთი ამონაწერი: „პროველი რასხოდ პოსვენო ი ვსე სუმი სხადილი“. მეც ეს ასე გადაეთარგმნე: „შევათქმეთ რა შეკრება, ყველა ჭკუიდან შეირყა“. ამზე კინაღამ მომიცხეს, მირა ხომ გავიგონია, ვისაც მოუკლავს — ის მოკლავს, გავაცურე, გავაცურე. ნატო, ხვალ ივანესთან ვარ დაპატიუებული. რომელ ივანესას და კულაკი რომ არის. შენც უსათუოდ ჩამოდი — ასეთ ამბებით იქცევა თავს ნიორაძე. საგაზეთო-საბეჭდო-საბეჭდო-საბეჭდო დირექტივები კი ხელუხლებლად იდგა უჯრაში.

გავიდა რამოდენიმე დღე. ნიორაძემ მეგობრიდან წერილი მიიღო: — დღეს რაიონიდან გამოვიდა მოწვევა...

კამპანიის შესამოწმებლად. აბა, შენ იცი, წინასწარ შენებურად მოემზადე. წერილი დღეს.

ნიორაძემ ზარს ხელი დააქირა. ყველა თანამშრომელი ერთად შეცვივდა ნიორაძესთან.

— ბრიგადა მოდის, დაფაცურდით, დაამზადეთ ენლავე ლოზუნგები, წარწერები ასეთი შინაარსის: „მწვეველ დავარტყათ კისერში ბიუროკრატს“, „მოვსპოთ და სრულიად გავანადგუროთ კულაკები“, „ნიორაძესთან შესვლა ყოველთვის შეიძლება“. შენ კი შიკრიკო „ბატონო“ ბრიგადის წასვლამდე არ წამოგცდეს იცოდე.

გაჩაღდა „თვისისათვის“ მზადება. დაიწერა ლოზუნგები, აქრელდა კედლები.

— ბრიგადა მოდის! — წამოძახა შიკრიკმა და ყველამ საქმეებში ჩარგო თავი.

... ჩვენ ამხანაგო. რაიონიდან ვართ. თესვა კამპანიის ვამოწმებთ.

— აი, იცოცხლეთ. გეუშაობთ დღე რაღამე. ჩემს დაწესებულებაში ყველამ თავი დამკვირვლად გამოაცხადა. ვთესავთ და ვთესავთ წელს დიდი მოსავალი გვექნება!

— ტკბილად შეეგება ნიორაძე ბრიგადას.

— გენახვებთ თქვენი გეგმა.

გეგმა? ვაა, საიდან დაიწყო, მირა არა უნდა, გავაძერგე, — იქრა მან. — გეგმა ამხანაგო ბრიგადა, მემანქანეს გაყვა, შევებულეაში წავიდა.

ჩასწერე, — სიტყვა ბრიგადის ხელმძღვანელს.

— რამდენი ჰექტარი მოხანით.

— ჩვენ არ ვხედავთ ამხანაგო, აი გლეხები ხევენ და იმით კითხეთ.

— თქვენში კოლექტივები გადავიდა თუ არა სანარდო მუშაობაზე?

— ჩვენში ამხანაგო, ნარდის თამაში არ უყვართ. აქ დროს უფრო ხშირად ღვინის სმაში ატარებენ.

— ჩვენ დიდი მუშაობა ჩავატარეთ, ამხანაგო ბრიგადა, ბიუროკრატისთან ბრძოლის საქმეში. აი ჩემი აპარატი სულ ლარიბებით და მოჯამბიკარებებითაა შევსებული! — უბასუხა ნიორაძემ ბრიგადას. ბრიგადამ ბევრი სხვა საკითხები გამოარკვია და წავიდა.

— ხომ გავაცურე. — ჩაიტრაბახა ნიორაძემ.

—

მეორე დღეს ლოზუნგები ისევ ჩამოსხნა ნიორაძემ და ძველი გააკრა. გავიდა რამდენიმე დღე და სოფელში ხმა გავარდა: — ნიორაძე მოხსნეს, და აპარატიდან ყველა კულაკები გააძევესო.

— ვაა, ჩემი მტერი ჩავარდა ბრიგადის ხელში, ის ოჯახსა და ქვეყნს გავაცურე მეგონა და მე არ გამაცურეს! — გულმოკლული ლაპარაკობდა ბიუროკრატი ნიორაძე თავის ყოფილ თანამშრომლებში. ახალმა აპარატმა ხელად შეადგინა საგაზეთო-საბეჭდო-საბეჭდო-საბეჭდო მის შესრულებას დამკვირველი ტემპებით შეუძლებელი.

ივანიკა.

უტურნ. „ნიანგი“-ს რედაქცია აცხადებს

კონკურსის მომხრეობაზე

პირველი ჯილდო 500 მან., მეორე 400 მან., მესამე 300 მან.

მოწოდებული იქნება აგრეთვე რამდენიმე მოთხრობა, რომლებსაც ავტორებს მიეკუთვნება ჩვეულებრივი ჰუმორი.

თემა: ახალი მოწყობის, გრძელ ვიწროკრახიან, კლასიციზიანობა, კალკობა და მკორტუნიზმი, კვლი და ახალი მჯახი, დამკვირვება, სოფელში და სხვა.

მოთხრობა არ უნდა აღემატებოდეს უშინალის ერთ გვერდს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ახალგაზრდა ძალებს და კედლის გაზეთების თანამშრომლებს

მასალაში მიიღება პირველ ივანიკაზე. შემდეგი გამოცხადდება ერთი თვის შემდეგ.

ავტორმა უნდა გვაცნობოს თავისი სრული ვინაობა (სახელი, გვარი, წლოვანება, პროფესია, სამსახურის ადგილი და სხვა).

მასალა უნდა იყოს დაწერილი ქალაქის ცალ გვერდზე, გაკრეპული ხელით და ველით.

გ ღ ღ რ ი

მეკუჩხის (ხორშა, სენაკის რაიონი)
ფურის გამგე აქვსენტი შურლიას
შესახებ გეწერთ, რომ:

პურს არ აცლის გამოცხობას
აიწონოს რათა მეტი.
თავისიანს ამარაგებს...
მოგვაშორეთ ეს აქვსენტი.

სრული შესაძლებლობაა, რომ „თა-
ვისიანებში“ აღმასკომის ზოგი მესვე-
ურნიც შედიოდნენ, რასაც ამტკიცებს
„აქვსენტის აბსოლუტური თვითნე-
ბობა“.

„პ-ის“ (ლეღვა, აჭარისტანი). სამ-
კითხაილოს შისახით გიწერთ, რომ:
მუდამ არის ის ბოქლომით
დანამშვენნი.
თვეში ერთხელ გაიღვიძებს
სამ...

ე. ი. ... სუსთე სტამბო-
ლიშვილი ახალ მთვარეზე აღებს სა-
მკითხველოს. ხოლო, ვინაიდან თვე-
ში ერთხელ არის ახალი მთვარე, ამი-
ტომ არც გასაკვირია, რომ თავვეს
შეჭმული აქვთ წიგნები. ასე რომ ამ
შემთხვევაში საკვირველი უფრო ის
არის — თუ რისთვის უფროსობენ
ძილს ამ კაცს თვეში ერთხელაც, რო-
ცა ის სამკითხველოს აღებს!

„ველუნდს“ (ზემო სვანეთი)
„გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის“-ო
და ჩვენც ასე მოვიქცეთ:
ხუცის ასული გვარლიანი
(სახელი ნინა)
იღებს პენსიას და ჯამაგირს
ორივეს ერთად.
უკვირთ: „ქვეყანა ნეტა მისთვის
ვინ გააჩნია:
ამდენი ფული რომ არ ჰყოფნის
მას გასაძღომაღ!

რა თქმა უნდა აქ ბიბლია-არაფერს
შუაშია, თითქოს ღმერთს ვაგჩინოს
ეს ქვეყანა ნინასათვის. მაგრამ ისიც
სწორია, რომ ამ ქვეყნად უთვალავი
„პატარა ღმერთები“ არიან, რომლე-
ბსაც შეუძლიათ ასეთი სასწაულების
მოხდენა.

მეორე თქვენი წერილი გადაეგზა-
ნა მუშათა და გლეხთა ინსპექციას,
და ეს უკანასკნელი მოაქცევს ჯერო-
ვან ყურადღებას.

ჯანუშს (ფოთი) მასწავლებელი
კაცი ხართ და გაგონილი უნდა გქო-
ნდეთ: „რაც მოგივა დავითათ ყველა
შენი თავითათ“.

ჯამაგირის მომატებას წაუხალისე-
ბინართ და გაეცნა ბართ პირველ
სკოლიდან... ბოლოს კი ხახამშრალი
დარჩით, რადგან მეორე სკოლაში
(ფოთში) ველარ მოეწვევთ.

არ ვიცით — ამის შესახებ ვის უნ-
და უსაყვედუროთ და „მოსცხოთ“? —
ჩვენ გგონია, რომ თუ ვინმე „მოსა-
ცხებია“ — ისე თქვენ.

ნიანბიზ სამუშაო გეგმა

ნიანბი

როდის მუშაობს ზოგიერთ დაწესებულებებსავეთ
უგეგმით და უყარათოდ!

ნიანბს

აქვს თავისი საკუთარი წლიური სამუშაო გეგმა,
რომელიც დამტკიცებულია მის მიერ.

ნიანბი

არც იმ დაწესებულებას ა ჰგავს, რომელმაც შეად-
გინა გეგმა, რაზედაც დაიცალა სამი ფუთი მელა-
ნი და ათი ცარიელი თავი. მიუხედავად ამისა საწყალ გეგმას მაინც
არ ეღირსა ცხორებაში გატარება.

და მიაგდეს იგი სადღაც
როგორც ჩვარი უვარგისი.
ისე გავა წვლიწადი, —
არავის აქვს ხსოვნა მისი.

ნიანბი

ახე როდის იქცევა!
— შემუშავებული გეგმა გადაჭარბებით უნდა შეს-
რულდეს! —

აი მისი მოწოდება თანამშრომლების მიმართ.

ნიანბი

შეჭმის ნამდვილ სატირულ-იუმორისტულ
ფურხალს, რომელსაც მისი სახელი ჰქვია

ნიანბი

ქმის ახალგაზრდა ძაღების კადრს:
მწარლების და მხატვრების,

რედაქციასთან დაარსებულია ხამასალინო წრემბი:

იხ. განცხადებაში ამის შესახებ
ღმრთაღმადლო ნოქიჯი.

ლიტერატურული
და
მხატვრული

ახალ ყოფიას და ცხოვრებას
შეეჭნით მხოლოდ ახალ ძალით
პატივსაც ვსცემთ და მოვიხმობთ —
ძვილსაც, ჩვენსკენ ვინც დაესმართ.

ვიცი, გვეჯერა და გეწამს ყველას
ჩვენი არის მომავალი.
ჩვენ ამისთვის ვემზადებით,
კარგათ ვიცით ჩვენი ვალი.

ნიანბი

ყოველთვიურად გამოუშვებს სპეციალურ ნომ-
რებს მიმდინარე საკითხებსა და კამპანებზე.

ჩვენი ქვეყნის ორგულებსა და მტრებს, რო-
გორც შინაურს ისე გარეშეს, არ დაინდობს

ნიანბი

მტერი და ორგული კი ჯერჯერობით ბევრია:

ყოველი ჯურის ოპორტუნისტი,
ბიუროკრატი და მავნე სპეცი.
კულაკი, მღვდელი, ქურდი, მფლანგველი
და კაპიტალის მრავალი მხეცი.

100

მასალა მოთავსდება
(დაახლოებით)

„ნიანბი“-ს

ყოველ
ნომერში

ნიანბი

ებრძვის უსაქმო მიულე-
ნებსა და ზედმეტ ხარჯებს,

მ ა გ რ ა მ

ნიანბი

ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს
თვეში სამჯერ შემოვიღოს!

ნიანბი

ღიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა ძაღებს, რომ-
ლებსაც ემჩნევთ იუმორის ნიჭი და უნარი.

ნიანბი ბრძანებს:

ყოველ თვეში
უნდა იყოს

„ნიანბი“

ხელინომოწერა მიიღება ფოსტა-ილიუმერ, ყველა განყოფილებაში

ს ა შ ი ა ს ა მ ე ე ? !



კულაკი: — საკვირველია ჩემთან იყო მოჯამაგირ ედ, ვსცემდი, მაგრამ მაინც არ მუშაობდა ბარაქიანად...
 აქ კი სიტყვასაც არავენ ეუბნება და, უხეხეთ, როგორ ერთგულად მუშაობს!